საქართველო

ს'ქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 11 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
ფისამართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 15 მ. მე-4 გვერდზე—12 მ.
ს.მგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—400 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე № — 10 მან.

ფასი 10 მან.

წელიწადი მეექვსე. პარასკევი, ღვინობისთვის 29, 1920 № 154.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი ჰურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბოთუმად და ცალ-ცალკე თვითო ქარხანაში ლაგერის (ვაზლის) ქ. № 5.

ღრმად დამწუხარებულნი მეობლები: დედა დარია მამა ნიკოლოზი, და მარგო და პატარა ძმა ფარნაოზი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ რომ კვირას 31 ს. ღვინობისთვეს გადახდილი იქნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ქ. თელავში წითელ ხიდთან მამაცურათ დაღუპულის

რეზო მაყაშვილს

2—1 3220

სახელმწ. თეატრი

ოპერა

ოქტომბერის 29
ევგენი ონეგინი

ოქტომბერის 30
ბალეტის სადამი შ. მორდკინისა
მუშებისთვის

ოქტომბრის 31
ტაისი

ნოემბრის 1
ვერტერი

დასაწყისი სრული საღ. 8საათზე
ოპერის დირეკ. ი. **ევლ ხიშვილი.**

საქართველოს საგაჭრო-სამრეწველო პალატის

არა ჩვეულებრივი კრება

დანიშნულია კვირას, 14 ნოემბერს დილის 11 საათზე პალატის ბინაზე ეროვნულ საბჭოს ქუჩა № 11.

განსახილველი საგნები:

1. ტფილისის კომერციულ სასწავლებლის სამხრეთველო საბჭოს წევრთა არჩევა.
2. ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თხოვნა
3. პალატის განყოფილების დაარსება ბათომში და ინსტრუქციის განხილვა.
4. დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა ბათომის განყოფილებისა და სხვა საჭიროებისათვის.

თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო კრება არ შესდგა, საიაგიერო დანიშნულია მეორე დღეს, საღამოს 6 და ნახ7 საათზე. ეს კრება შესდგება მიუხედავად დასწრე წევრთა რიცხვისა. 3—87—1

...ოფილისის ქალაქის გამგეობა

...თანახმად საბჭოს სარეკომენდაციო კომისიის დადგენილებისა ღვინობისთვის 18 ა. წ., ამით აცხადებს, რომ ქალაქში თავისუფალია

მომრიგებელ მოსამართლეთა

...ადგ...ლ. ვისაც სურს ამ თანამდებობის დაკავება და ამის უფლება აქვთ, თანახმათ მომრიგებელ მოსამართლეთა იუსტიციის არსებულ კანონისა, (იხ. № 58, საქართველოს რესპუბლიკ; 1918 წ.) უნდა შემოიტანონ თხოვნა გამგეობაში. 2—83—1

...რუსეთ-პოლონეთის ზ...ვი და სა...ქ...ოველო

...კომუნისტურმა რუსეთმა წაავო ომი ...ოლონეთთან.

,,ჩვენ იძულებული ვართ მივიღოთ ...ენთვის საზარალო, ხოლო პოლონეთისთვის სახეირო პირობები'', განაცხადა ლენინმა.

...რა მოკლე დრო გავიდა მას შემდგომ ...ც ბოლშევიკების წითელი არმია ცე...ბლის რკალივით გარს ერტყა პოლონეთის სატახტო ქალაქს და დაძლევამოსილი თავის გადაჭრილ პირობებს უკარნახებდა მთრთოლვარე ვარშავის!

საშინელ წუთებს განიცდიდა პოლონეთი! მოსკოვის სამხედრო კომისარის ტროცკის ,,შეურყეველი'' ბრძანება: ,,ვარშავისაკენ, წითელ არმიელებო''! ...ვარიცვით ეცა გულში თავისუფლების შ...ნატრე...ერს, რომლის წინაშე ყოფნა არყოფნის საკითხი დასვა ეამთა მსვლელობამ: პოლონეთის ხალხს ან ქედი უნდა მოეხარა ბოლშევიკებისათვის და, მაშასადამე, ხელი აეღო ეროვნულ თავისუფლებაზე, ან და დაეჭიმა მთელი თავისი სახელმწიფოებრივი ენერგია და უკუეგდო მოზღვავებული მტერი!

ომის ღმერთმა უმოწყალა პოლონეთს: აწიოკებულ სამშობლოს დასახსნელად მთელი პოლონეთი ფეხზე დადგა! იარაღი აისხა ყველამ, ვისაც კი ფიზიკური შეძლება ჰქონდა თოფის ტარებისა და ასე მრავალნაძალად აღმართული პოლონეთი სახელოვნად ვაუკლავდა რუსეთს და აჩქარებულად დააცლევინა მას თავის მიწა წყალი.

იმ დღიდან რუსეთის მხედრობა სისტემატიურად იხევდა აღმოსავლეთისაკენ და ბოლოს იძულებული შეიქმნა დაეჩოქა ფეხდაფეხ მიმდევ პოლონეთის ჯარის წინაშე.

რუსეთმა ხელი მოაწერა გამარჯვებულ პოლონეთის მიერ ნაკარნახევ საზავო პირობებზე და ამით ჯერ ერთი ხელი აიღო იმპერიალისტურ შეტევაზე დასავლეთის მიმართულებით და გარდა ამისა გამოიყენა თავისი სახელმწიფოებრივი და მილიტარული სისუსტე.

ეს მოვლენა მეტად დამაფიქრებელია: პოლონეთმა ცხადი მაგალითით დაუმტკიცა მთელს ქვეყანას, რა შეუძლიან ხალხის შეუდრეკელ ნებისყოფასა და გარდაწყვეტილებას!

ჭეშმარიტად საიმედო ადამიანების ხელთ არის განთავისუფლებულ პოლონეთის ხალხის ბედი. ბრძნული და შეთანხმებული პოლიტიკა შინაგან ცხოვრებაში და წესიერი გამოყენება საგარეო ყველა კომბინაციებისა—აი რა ახასიათებს დღევანდელ პოლონეთის ვითარებას, რაუქმნის მას შეულეველ წარმატებისა და დაბრკოლებათა ძლევას.

რა დიდი განსხვავებაა ამ სახელმწიფოსა და საქართველოს შორის! პარალელების გაყვანა მწარედ დააფიქრებს სამშობლოს გულშემატკივართ! რამდენადაც იქ ყველაფერი კეთდება მაღწევისათვის და დიპლომატიური უნარით და მილიტარული შეს ძლებლობით უკეთეს მომავალს ეგებებიან, იმდენად ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა ყოველდღიურად აქვეითებს სახელმწიფოებრივ კულტურას, ასუსტებს სახელმწიფოებრივ ულს. ჩვენი დიპლომატიური გამოსვლება საერთოდ მარცხით ბოლოვდებოდა. ამის ოვალსაჩინო მაგალითს ისევ ის რუსეთი გვაძლევს, რომელსაც აი ეხლა პოლონეთმა აჯობა ბრძოლის ველზედაც და დიპლომატიის აპარატამენტებშიც!

როდესაც საქართველოს მთავრობის წარმოაადგენელი მოსკოვში კომუნისტურ კომისარიატს ემსჯელათემოდა რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულების შესახებ, მოსკოვი დღევანდელითან შედარებით უკეთეს პირობებში არ იყო, პირქით ზოგიერთ შემთხვევაში მისი საერთო და სამარი მდგომარეობა უარეს ყოფას განიცდიდა. ამ ყოფამ სწორედ აიძულა რუსეთი მაშინ დაჰმეგობრებოდა ყველა მათ, ვისთანაც მწყარალად იყო მთლიანი დიდი და განუყოფელი რუსეთის დაშლის გამო და საქართველოსთანაც სწორედ ამ დროს იკადრა დიპლომატიური ენით ლაპარაკი. ჩვენ ვიცით რა ფასისა და შინაარსის გამოდგა საქართველოს „დიპლომატის“ გამოხმაურება და რა მიანიჭა მან ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას! ეს პარალელი ზედმეტად ნათელჰყოფს ჩვენთვის, როგორის „მზრუნველობით“ განაგებენ საქართველოს მისი ეხლანდელი მესაჭინენ!..

შეიძლება გვითხრან, რომ პოლონეთს ზურგს უმაგრებდა ანტანტი და მისი დიპლომატიური გამჭრიახობა უმეტესად საფრანგეთის ხელშეტებზე არის დამყარებული! მით უარესი ჩვენთვის, რომ ქვეყანა შეთანხმწყარალეთ და უთანხმოებათა და უმეცრებით ევროპის ნდობა დაკარგეთ. დროშეპარებულ კურტიზანსებრ ხან ერთს ველრიჯებით, ხან მეორეს და კარს ბერვაზე ვაწესებთ სახელმწიფო პოლიტიკას. დღეს ბავშვმაც იცის, რომ საქართველოს ხომალდის საჭე მომტვრეულია და ხომალდი-კი უწყვეტად ქანაობს საერთაშორისო ტალღებში...

ვინ დაინდობს მას?..

რუსეთ-პოლონეთის ზავი ართულებს ჩვენს მდგომარეობას: პოლონეთის საზღვრებზე წაჩოქილი წითელ არმიელები სამხრეთისაკენ გადმოანთხ ვენ დაგუბებულ ბოღმას და ვრანგელთან ბრძოლაში შეეცდებიან აღადგინონ ,,სოციალისტური'' ლაშქრის პრესტიჟი.

რთული მოვლენანი გეოგრაფიულად გვიახლოვდება ჯერჯერობით.

ჩვენ ვშიშობთ, რომ ამ გარემოებით მოწინააღმდეგე ისარგებლებს. საქართველოს შინაგან მდგომარეობაც შეუმსუბუქებს მას დასახულ გეგმის რეალიზაციას და ამ საქმეში კი რუსეთს—სულ ერთია ვრანგელისა იქნება ის, თუ ლენინსა—ჩვენს მიწაწყალზე დაგროვილი თავისი ძალებიც ეყოფა.

სიფხიზლე გვმართებს!

ზავი პოლონეთთან ი'—დასავლეთ-ჩრდილოეთის საზღვრებზე — ამყარებს მშვიდობიანობას. ცა იწმინდება იქ. უნდა ვეცადოთ, რომ საქართველოს ცა არ დაანბელოს იქიდან გადმოწოლილ ღრუბლებმა.

ჩვენი პოლიტიკისთვის სამუსლმანო საქართველოში

3.

1918 წლის ნოემბერში ინგლისის პირველი ეშელონი რომ ბათომს მოადგა, სამუსლიმანო საქართველოში უკვე ჩამქარალი იყო ოსმალეთის ხელისუფლების უკანასკნელი ჰაჰანებაც. „ბრესტ ლიტოვსკის“ ოლქებში ინგლისმა „ნეიტრალი“ პოზიცია დაიჭირა და ვისაც არ ეზარებოდა და მადა ჰქონდა, ყველამ თავ-თავისი პოლიტიკური მუშაობა გააჩალა. აქ იღწოდა დენიკინის და ლენინის რუსეთი, მეჰამედ მეხუთის ოსმალეთი, უხუ-ბეკოვის აზერბაიჯანი და ხატისოვკაჩ ზნუნის სომხეთი. ყველას ერთი მიზანი ჰქონდა საქართველოს მიმართ: აჭარა-ქობულეთის ვამოწირვა ამ უკანასკნელის ხელიდან. ამ ქვეყნების აგენტები მრავლად დაფუსფუსებდნენ აჭარა-ქობულეთში: აბხეზდნენ მილიონებს ხალხს მოსაყიდათ, ეფენთავდენ ატმოსფერას სიძულვილით ქართველი ხალხისადმი; ადგენდნენ შეიარაღებულ ძალებს და პროვოკაციას პროვოკაციაზედ აცხობდნენ—რადაც გინდ დაჯდომოდათ უნდა შეექმნათ საქართველოსადმი მტრული განწყობილება. ეს ნაირ-ნაირი მიმდინარეობა ერთმანეთს ეჯახებოდა, ერთმანეთში იკვანძებოდა. აჭარა-ქობულეთის ტემპერატურამ აიწია და მაღალ წერტილზე შესდგა. მდგომარეობა ძალზედ ნერვიული დადგა. ხალხს ზრახვანი აეშალა და გულისთქმა გაუწაირნაირდა: მოეშა ათასი დაპირება, თვალწინ გადმოუშალეს სხვა და სხვა მაცდურება. ათასი ჯურის ავანტიურისტი ასპარეზზე გამოჩნდა და ხალხს ამ სულიერ განწყობილებას ექსპლოატაცია დაუწყო.

ინგლისელ „განზე“ იდგა, იგი გაანგარძობდა თვის ნეიტრალობას და შეკავებულს ინტერესით შეჰყურებდა გარემოებათა განვითარებას.

საქართველოს წინა ღამდე „სამხედრო მოქმედების გაჩაღებს მიზნით შექმნეს ერთი ახალი რესპუბლიკაც. ამიერ-კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის რესპუბლიკა; ამ რესპუბლიკისა და ოსმალეთის შეერთებულ მხედრობას საქართველოს წინააღმდეგ წარუძღვა სერვერ-ბეგ...

საფრთხეში იყო ჩარდილი სამუსლიმანო საქართველოს ბედი და ძალთან ერთად და ამავე დროს მთელი საქართველოს ბედიც. ამ ძალსა და რთულ პირობებში საქართველოს ინტერესს იცავდა და საქართველოსთვის მუშაობდა თვით აჭარა-ქობულეთის ხალხი, თვისი შეგნებული მეთაურების ხელმძღვანელობით. აჭარის განთავისუფლების კომიტეტი აძლიერებს მუშაობას და ხალხს ურჩევს არ იყოს მტერთა რჩევა-დარიგებას. სოფლის დიდ საზოგადოებებში არსდება. საქართველოსთან შეერთების კომიტეტები. ,,ბიმართება მიტინგები და ხალხს გამოაქვს საქართველოსთან შეერთების რეზოლიუციები. ხალხის ნებისყოფა ოსანდათან ირკვევა და თანდათან აშკარა ხდება რომ აჭარა-ქობულეთს საქართველოს ხელიდან ვერ გამოაცლიან. ჩვენი მტრები კიდევ უფრო აფთრდებიან. მათი მუშაობა სასოწარკვეთილების ინტენსიფიკაციას იღებს. ქვეყნის საერთო ტემპერატურა კიდევ უფრო აიწევს. მაგრამ გზა-გაგნებული აჭარა თავს იკავებს და მტკიცედ მიდის დედა საქართველოსთან შეერთების ხაზით!

ამ დროს ასპარეზზე გამოდის ახალი ორგანო, მეჯლისი გამოაქვს ფორულ: საქართველოს სახელმწიფო სხეულში მოქცევა და შინაური ავტონომია; იგი აჭარა ქობულეთის ნებისყოფას ატარებს და საქვეყნოდ აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ნება და გადაწყვეტილებაა თვის დედა საქართველოს შეუერთდესო. ეს მეზივით გავარდება აჭარა ქობულეთის ცაზედ და ელდა-ცეცით თავს დაეცემა ყველა ჩვენს მტერს.

ეს იყო გადაწყვეტი ხმა.

მეჯლისი აწარმოებს პოლიტიკურ მუშაობას. იგი დაიგზავნის ანტანტის სახელმწიფოებს მემორანდუმს, სადაც აჭარის ხალხის ეს ნება-სურვილია გამოცხადებული. იგი დაუხვდება ინგლისის უმაღლეს კომისარს—ბ ნ უორდროპს და მას ოფიციალურად განუცხადებს აჭარის გადაწყვეტილებას. ამიერიდან მთავარი საბუთი და მასალა, რომლითაც ანტანტის კოალიციამ თვისი საშართალი უნდა დაადგინოს, არის მეჯლისი, მისი ხმა და ნებისყოფა. მეჯლისი ყოველ დღიურ ბრძოლაში გადადის, ანტანტებს პასუხის მიუცემლად არც ერთ მოვლენას, რომელიც სამუსლიმანო და დედა-საქართველოს შეეხება. მისი პრეზიდიუმი ხანჩენს მთავრობასთან შუამდგომლობს ხან ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლებთან საქართველოში.

საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდა: აჭარა ქობულეთი დედა-საქართველოს შეუერთდა. ამით დაიწყო სამეფო-ლიმანო საქართველოს შემოკრების პროცესი და აღდგენილი მთლიანი და ძლიერი საქართველოს მოსვალი ეს დიადი საქმე,—პირველ უოცლისა—ნაყოფია აჭარა-ქობულეთის თავისუფალი ნებისყოფის, მისი მეჯლისის გარდაწყვეტილების. დიდი შრომა და მხვერპლი შესწირეს ამ საქმეს. აქ გამოჩნდა აჭარის ხალხის მეთაურია ეროვნული პატრიოტიზმიც და ღრმა შეგნება როგორც საერთო, ისე ადგილობრივ ინტერესისა. ეს საუკეთესო მოწმობაა მუსლიმან ქართველების დიდი ერთგულებისა დედ-საქართველოსადმი და მასთან ერთად ყოფნის მტკიცე გარდაწყვეტილებისა. ეს არის პირველი და საბოლოო საქმე, არის ძირეული ნიადაგი, რომელზე შეიძლებელი იყო და არის საქართველოს გამთლიანება. ეს არ უნდა წყვეტდეს, არც იმათ ვინც აჭარა-ქობულეთისთვის ჩვენს პოლიტიკას სწერს და არც იმათ, ვინც პრაქტიკულად აქ ამ პოლიტიკას ანხორციელებს..

მაგრამ ბრძოლა ჩვენი პოლიტიკ! მას არა აქვს ხედვის სიმაღლე და არც ფანი. იგი მეწვრილმანე პოლიტიკა და ძირს უთხრის საქართველოს მომავ. დიდებას, რომელიც უნდა გაიშალოს ეროვნული მუსლიმანობისა და ეროვნ. ქრისტიანობის ჰარმონიულ შემოქმედებაში.

ს. კ. ...

სამხედრო სასამართლო.

საქართველოში მოქმედობენ შემდეგი მუდმივი სამხედრო სასამართლოები: ყოველ პოლკში პოლკის სასამართლო, რომელიც უმთავრესად დისციპლინარული დაწესებულებაა და მოქმედობს იმ ნაკლებ მნიშვნელოვან საქმეებში, საცა ამათუ იმ დისციპლინარული სასჯელის დადება ჯარისკაცებზე აღემატება მათი უფროსების ძალა-უფლებას. ამ სასამართლოებს შემადგენლობაში შედიან ოფიცრები და ჯარისკაცნი საქართველოს სამხედრო სასამართლოს კი ექვემდებარებიან დანარჩენი საქმეები რომლებიც დაკავშირებულნი არიან დისციპლინის და სამხედრო წესრიგის საკითხებთან; ამასთანავე ერთად ეს სასამართლო არის საკასაციო ინსტანციათ პოლკების სასამართლოებისთვის.

სამხედრო სასამართლოში შემოღებულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ნაფიც მსაჯულებათ ირჩევიან თანასწორად ჯარისკაცები და ოფიცრები, როგორც რეგულიარულ ჯარიდან, აგრეთვე სახალხო გვარდიიდან.

სამხედრო სასამართლო უწინ ირიცხებოდა სამხედრო სამინისტროს უწყებაში ეხლა კი იგი იუსტიციის სამინისტროშია.

საკასაციო ინსტანციათ წინათ იყო სამხედრო საკასაციო სასამართლო, ამჟამად კი სენატი.

ეს ერთი ხანია, რაც გამუდმებით ლაპარაკობენ რომ სამხედრო სასამართლოებს აუქმებენ და მათ საქმეები გადააქვთ. პოლკის სასამართლოების მომრიგებელ მოსამართლეებთან, ხოლო სასამართლოსი, საოლქო სასამართლოებშია.

ლოგ.

წითელ არმიაში რეორგანიზაცია მოხდა: ყველა მამაკაცი 15—50 წლამდე ვალდებულია სამხედრო ვარჯიშობაში იქნეს და განზრახულია 4.700.000 იანი მუდმივი სამხედრო ძალა იყოლიონ.

ბოლშევიკური ცნობით ინგლისში ორი მილიონი მუშაა გაფიცული.

გერმანიის მთავრობა სოციალიზაციის წინააღმდეგია.

საქართ. რესპ. შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანება გასცა დაიკეტოს ყველა გასართობები, კლუბები, რესტორანები და სამიკიტნოები.

წერილები.

მეთაური: რუსეთ პოლონეთის ომი და საქართველო.
სპ. კედია: ჩვენი პოლიტიკისათვის სამუსლიმანო საქართველოში.
იასონ ჯავახიშვილი: სამხედრო სასამართლო.
ალ. ასათიანის სიტყვა-
ჩვენი კორესპონდენტები: ფოთი, ხევი.

ამაზე მუშაობდა კომისია, ჰქონდათ მსჯეობა.

უკანასკნელი ცნობით სამხედრო სასამართლოს გაუქმების პროექტი მიღებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ რა სარფას წარმოადგენს ეს მორიგი ექსპერიმენტი საქართველოს თვის?

წინად რუსეთში სპეციალური სამხედრო სასამართლოები იმიტომ შემოიღესო, ამბობენ ზემოაღნიშნულ რეფორმის მომხრენი, რომ უნდოდათ ამით მიეცათ ჯარის უფროსებისთვის საშუალება, რათა მათ არმია ჰყოლოდათ მორჩილებაში. ეხლა კი ამ მიზანზე ლაპარაკი ზედმეტიაო...

ეს საბუთი დაფუძნებულია დიდ გაუგებრობაზე.

როდესაც აკრიტიკებენ რაიმე დაწესებულებას, უნდა აღიარონ მისი დღევანდელი ვითარება, [გაითვალისწინონ ის მიზანი, რომელსაც იგი დღეს ემსახურება.

თორემ... წინად შინაგან საქმეთა მინისტრი იმიტომ ინიშნებოდა, რომ მას ჩაეკლა რუსეთში ყოველივე კეთილი, აქტიური, პროგრესიული მაგრამ... განა ეს გვაძლევს საბუთს ავმხედრეთ შინაგან საქმეთა სამინისტროს არსებობის წინააღმდეგ საქართველოში?

და, გარდა ამისა, უფროსების თვის მორჩილება, მათი რიდი და პატივისცემა, რაიც თურმე წინად ჰქონიათ მიზნათ სამხედრო სასამართლოებს, განა ეხლაც არაა მთავარი მოქმედი ჯარის და, ვინდ, გვარდიის არსებობისთვის? ყოველისფერი ეს ეხლა ზედმეტია, ჯვარგისი, მოხერხებულ ეფექტიანობური?—შემცდარი აზრია!

ეხლაო, ამბობენ ისინი, სამხედრო სასამართლოს მხოლოდ იმისთვის ახვს საშუალება, რომ იქ მოსამართლეებათ სამხედრო პირნი არიანო. და ეს კი არ მიაშა უეჭველად დაარქვევს დისციპლინასო. ეს მოვლენა, რომ სამხედრო საქმეებს არჩევენ ისეთნი, რომლებსაც ესმით სამხედრო სამსახურის არსი, უარმყოფელი კი არა, როგორც ზგს შემცდარად ჰგონია, არამედ ერთად დადებითი მოვლენაა.

განა უკეთესი იქნება, როდესაც სამხედრო საქმეებს გაარჩევენ ისეთნი, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არა აქვთ სამხედრო სამსახურზე?—არასდროს არ უმსახურნიათ, მაგალითად, ქალებს,—ჯარში, და არ იციან რაა სამხედრო დისციპლინა? და მერე აქედან სადაური ლოგიკური კომბინაციებით გამოდის ის დასკვნა, რომ დისციპლინა დაირღვევა, თუ მოსამართლეებათ სამხედრო პირნი იქნებიან? პირიქით! ამბობენ: ჩვენ რეგულარული ჯარის არსებობის წინააღმდეგნი ვართ, და ამიტომ—სამხედრო სასამართლოს იკო...

მაგრამ... ჯერ ხომ ჯარი არ გიგიუქმებია?

და ვიდრე არის ჯარი, უნდა იარსებოს მასაუცილებელ ორგანომ, მის სასამართლომ.

მერე... რომ არც ვფიქრობდეს რეგულიარული არმია, განა სამხედრო სასამართლო მაინც ზედმეტი იქნება? ავიღოთ მაგალითად შვეიცარია! იქ არაა რეგულიარული ჯარი, იქ—შეიარაღებული ხალხია, მაგრამ იქ არის სამხედრო სასამართლო. ჩვენი სამხედრო სასამართლო უნდა არსებობდეს იმიტომ, რომ ჩვენ კეყავს რეალური შეიარაღებული ძალა.

ბ. გვაზავა.

ერთა ლიგა

(იხ. „საქართვ. № 124)

2

არის ორი თეორია. ერთი ამტკიცებს, რომ ბრძოლა ძირითადი კანონია ბუნებისა და ამ კანონს ვერ გადალახავს ადამიანიც. მეორე ეთანხმება პირველ დებულებას, მაგრამ შესწორება შეიტანს მეორეში. მართალია, ბრძოლა ბუნების კანონია, იბრძვის ყოველი სულდგმული არსებობისათვის, იბრძვის ადამიანიც, მხოლოდ მის ბრძოლას ეტყობა ერთნაირი განვითარება, ერთნაირ ფეოლიუცია. პირველ ხანებში, როცა ადამიანი მარტო იყო, ტყეში ანველად, ის მართლა არ განირჩეოდა თავს ბრძოლაში უბრალო პირუტყვისაგან, ის იძულებული იყო დაეცვა თავიანი თავი ყველასაგან, რადგანაც ყველა ერთნაირად თავს ესხმოდა—ადამიანიც და მხეციც. მაგრამ დრო გადის. ადამიანი უახლოვდება ადამიანს, პირველად, ალბად ოჯახის სახით; ოჯახში უკვე არ არის ბრძოლა, იქ არის შეთანხმება და შეერთებულის ძალით შრომა და ერთმანეთის დახმარება. ოჯახი დიდდება, ჰხდება მთელი გვარეულობა, რომლის სათავეში ჰდგას პაპა ან უხუცესი გვარეულობისა, რომელიც აწყობს და აწესრიგებს შინაურ ცხოვრებას. წესრიგი უკვე არის უფლება. მოწესრიგებულ გვარეულობაში უკვე არ არის შინაური ბრძოლა და სისხლის ღვრა, აქ დავა და უთანხმოება თავდება გარჩევათ და გადაწყვეტილებით, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყოველი წევრი.—შემდეგ ერთი გვარეულობა უერთდება მეორეს, მესამეს, უფრო გარეშე ძალის გავლენით და შიშით, და ბოლოს თანდათან იყრება საფუძველი მთელს ეროვნულ ცხოვრებას. შორი არ არის ის ხანიც, როცა ერი ხევი ებრძოდა მეორეს, ერთი თავადი ან მთავარი თავის მეზობელ თავადს ან მთავარს, ბოლოს გარეშე ძალის გავლენით ან შინაური შეთანხმებით, ყველამ თანდათან აიღო ხელი თვითნებობის და დაეშორჩილა უმთავრეს ეროვნულ ძალას—სახელმწიფოს, სახელმწიფომ შეწყვიტა შინაური ბრძოლა და სისხლის ღვრა ყოველ დავას და უთანხმოებას მისცა მშვიდობიანი გზა და გასავალი—სასამართლო. ბრძოლა ეხლაც არის, მხოლოდ ფორმა მისი შეიცვალა. უწინ იყო პირდაპირი შეტაკება და სისხლის ღვრა, გიმარჯვებდა ის, ვინც იყო უფრო ძლიერი. ეხლა კი პირდაპირი შეტაკება აღკრძალულია, ეხლა არის შეტაკება მხოლოდ სიტყვიერი ხასამართლოს წინაშე და იმარჯვებს ის ვინც „მართალია“ და არა ის, ვინც ფიზიკურად ძლიერია. ძალადობის ადგილი დაიჭირა უფლებამ.

ბრძოლა არის ყველგან, მაგრამ ადამიანმა დაუმატა კიდევ ერთი იდეა—იდეა უფლებისა. აი ეს იდეა არ არსებობს ბუნებაში, არ ესმის პირუტყვებს, არ გაიგებათ მხეცებს. ამიტომ შეგნებული ბუნების თუ პირუტყვთა კანონების ადამიანთა ცხოვრებაში არ არის სწორი მეთოდი გამოკვლევისა. ადამიანი განვითარდა, იგი მართლა ჰგდგას, იგი ვერ დაუბრუნდება მხეცურ და პირუტყვულ ცხოვრებას. თუ შესაძლებელი იყო ბრძოლის მოსპობა კერძო პირთა შორის ან ჯგუფთა შორის სახელმწიფოში, შესაძლებელი უნდა იყოს ომის მოსპობაც საერთაშორისო განწყობილებაში.

მაშ საჭირო ყოფილა ერთი მსოფლიო სახელმწიფო? არა, ეს დასკვნა აჩქარებულია. შეიძლება ოდესმე კაცობრიობამ შეჰქმნას ერთი სახელმწიფო, მაგრამ ჯერ ეს ხანა არ დამდგარა, ჯერ კიდევ გაივლის ალბად ბევრი საუკუნე, სანამ მომზადდება ნიადაგი ამისათვის წყობილებისათვის. დღეს ლაპარაკი მსოფლიო იმპერიაზე—უტოპიაა, ეს ის ალბად შეიძლება ჩაფუშოს და დაჭმარხოს ისიც, რაც კი შესაძლებელია დღეს ჩვენ ფაქტებს უნდა გავუწიოთ ანგარიში, ფაქტი კი ასეთია: არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფონი, თვითეული მათგანი სუვერენულია და ამ სუვერენობას იგი იცავს თავგამოდებით; თვითეული აწარმოებს თავის პოლიტიკას, იცავს თავის ინტერესებს და მიჰმართავს იარაღს იქ, სადაც წინ ვინმე გადეღობება. აქედან აშკარაა, დაარსება ერთი იმპერიისა, ან ერთნაირი „ზე-სახელმწიფოსი“ ყოველად შეუძლებელია. ეს მოსალერხებელი ამ ძალას უაღრესად ესაჭიროება დისციპლინა და სამხედრო წესრიგი.

ამ მიზანს კი ზედმიწევნით აღწევს სამხედრო სასამართლო.

იასონ ჯავახიშვილი.

მწერლობის მარადიორეგი

გაზ. „ბარიკადა“ში მოთავსებულია შემდეგი წერილი.

„დიდი ხანია, რაც წერა კითხვის საზოგადოებამ დაიწყო ზოგიერთ სპეციალიტ პედაგოგების კომპილიატორულ სახელმძღვანელოების გამოცემა. ეს სახელმძღვანელოები, რომელნიც სავალდებულოა შკოლიებში სასწავლებლად, იბეჭდება ათასობით და ხშირად 6—7 გამოცემად გადის. ხსენებული სახელმძღვანელობის შემადგენელნი, რომელნიც არავითარ შემოქმედებითი შრომის არ ხარჯავენ, არამედ სარგებლობენ სხვა და სხვა მწერლის ნაწერებით—მილიონებს იღებენ ჯიბეში, ხოლო მწერლებს, რომელთა სახელობით და ნაწარმოებით ისინი ვაჭრობენ გროშსაც არ აძლევენ. ეს აღმაშფოთებელი ლიტერატურული მარადიორობა საბოლოოდ აღკეცილი უნდა იქნეს

და ყოველი მწერალი, მოთავსებული ამა თუ იმ ქრესტომატიაში დაკმაყოფილებული იქნეს შესაფერი გონორარით. ჩვენ ვამოგვცემენ რომ მაგ. ბ-ნ გომელაურს, რომელსაც მის მიერ შეკოწიწებული სახელმძღვანელო აუკრძალია დამსახურებული მწერლის დავით კლდიაშვილის ნაწარმოებით—უკანასკნელისთვის არ ფერი მიუცია, ითითონ კი რამდენიმე მილიონი აღმოა სხვისი ნაშრომიდან. წარმოუდგენელია მეტი ავტორის უფლების შელახვა და მეტი უსინდისო ექსპლოატაცია, წერაკითხვის საზოგადოების თანხმობით; რომ აყვავებულა ჭართულ გამომცემლობაში.

გაუგებარია ამ შემთხვევაში ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს მოქმედება. რიგორც ვიცით საბჭოს წესდებაში უწერია ავტორის უფლების დაცვა საერთონორმის შემუშავება. რა აზრი აქვს ამ საბჭოს არსებობას, თუ ამისთანა საქმეში ვერ ჩაერევა და თავის კავშირის წევრებს ვერ დაიცავს მარადიორების განჩენ. ჩვენ მოვითხოვთ რომ მწერალთა კავშირმა პასუხი მოსთხოვოს წ. კ. გ. საზოგადოებას და პასუხისგებაში მისცეს გათამამებული ბ-ნი ი. გომელაური.“

უცხოეთი

კროპოტკინი ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

გაზ. „ფიგაროში“ ცალტუნგი“

საბჭოთა რუსეთში ყოფნის დროს ინგლისის მუშათა დელეგაციის წევრს ჩინდილადს საუბარი ჰქონია ბოლშევიკური რეჟიმის შესახებ ცნობილ რუსის ანარქისტთან პეტრე კროპოტკინთან: „ანტანტი არ უნდა ჩაეთოს რუსეთის შინაურ საქმეებშიაო, უთქვამს კროპოტკინს. რუსის ხალხი თავის ისტორიულ გზებედურებას, ისედაც უცხოეთის ძალმომრეობით ხსნის. ბოლშევიკური მეთოდი, და სახელმწიფოებრივი კომუნიზმი ანადგურებს ჩვენს სამშობლოს. რუსეთი იტანჯება პარტიული დიქტატურით. ბლოკადა და ანტანტის სამხედრო დამოკიდებულება რუსეთისადმი ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას, უფრო გაართულებს.

კროპოტკინი წინააღმდეგია აგრეთვე რუსეთის ძველი საზღვრებში აღდგენისა და ეროვნული რესპუბლიკების ლიკვიდაციის. „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულებად უნდა დარჩენ უთუოდ ფინეთი, ბალტიის სახელმწიფოები, უკრაინა, ლიტვა, საქართველო“ და სხვა. სასურველად მიაჩნია რუსეთის წინანდელი ტერიტორიული ფარგლებში მხოლოდ ნაციონალური სახელმწიფოთა კავშირი.

„ბოლშევიზმი მგონი სამუდამოდ დასცა სოციალიზმის პრესტიჟი“.

მე-3 ინტერნაციონალის მუშაობა ინდოეთში. მოსკოვის საბჭოთა მთავრობამ ამსტერდამის შორის ბიუროს საშუალებით ინდოეთში გაგზავნა დიდძალი ფული მე-3 ინტერნაციონალის ჭიდეის სასარგებლოთ პროპაგანდის საწარმოებლათ, ამის გამო ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: ეს ახალი ნაბიჯი საბჭოთა მთავრობისა გამოიწვია იმან, რომ ბალშევიკები დაბარცხდენ ავგანიტანში, სადაც ბალშევიკურ პროპაგანდას მტრულათ შეხვდენ; ამიტომ ფულის გადმოგზავნა ავღანისტანის გზით შეუძლებელი შეიქნა უკანასკნელ ცნობებით ბალშევიკები ცდილობენ ფეხი მოიმაგრონ ჰოლლანდიის ინდოეთში განსაკუთრებით კუნძულ იავაზე უკვე ჭდამტკიცებულია, გაზეთის აზრით რომ თითქოს საკვერო მიზნებით ბალშევიკებმა ამ მხარეში დიდძალი თანხა გადაგზავნეს ხრისტიანიის ბანკებში მიმდინარე ხარჯებზე ბალშევიკებს ჰქონდათ 11 მილიონი მან. ოქროთი; აქედან ამსტერდამში გაიგზავნა 3 მილიონი მანეთი.

გერმანია.

„ფორვერტსი“ ლენინის შესახებ.

„ფორვერტსი“ ლენინის პასუხს გერმანიის დამოუკიდებულობისადმი მეტად საგულისხმო და ძვირფას დოკუმენტად სთვლის ლენინს აღელვებს რომ ძალმომრეობაზე დაყრდნობილი ბატონობის სისტემა გერმანელ დამოუკიდებლებში მოქალაქეობრივ უფლებებს ვერ პოულობს და ვერ ხიბლავს ასეთ პიროვნებათ, რ გორიც არის კრისპიენი და დატმანი. რუსეთიდან ჩამოსულთა ჭშთაბეჭდილებანი საბჭოთა რუსეთის შესახებ რომელთაც ლენინი იქ ცხოვრების პირობებში არცოდნას ვერ დასწამებს, საკმაოა, რომ ბოლშევიზმი უარყოფითად დავაფასოთო, ჭამბობს „ფორვერტსი“ განზეთქილება გერმანელ დამოუკიდებლებში.

მემარცხენე დამოუკიდებლებმა გამოუშვენ მანიფესტი, რომელშიც მოუწოდებენ ყველას შეუერთდენ.

„მებრძოლ კომუნისტურ ფრონტს“ მესამე ინტერნაციონალის მომხრე დამოუკიდებლები ცდილობენ შეინარჩუნონ პარტიის ძველი სახელწოდება.

უკრაინა.

რომელია უკრაინის მთავრობა.

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან რომ პეტლიურას ჩამოშორდა ჯგუფი, რომელიც უკმაყოფილოა პეტლიურას მიერ პოლონეთთან დადებულ ხელშეკრულებით. ამ ჯგუფმა ვენაში შექმნა დამოუკიდებელ უკრაინის დირექტორია შვედის და მაკარენკოს მეთაურობით. პიოველიც და მეორეც პეტლიურას დირექტორიის ყოფილი მინისტრებია.

პარიზში პეტლიურას წარმომადგენელ-გრაფ ტაშკევიჩსა და ვენის დირექტორიის წარმომადგენელებს შელუხინსა და გალიპინს შორის მწვავე ბრძოლაა გაჩაღებული.

ერთი მეორეს არ სცნობენ, ართმევენ ერთი მეორეს მანდატებს და ცრუ წარმომადგენლობას სწამებენ.

ხან შელუხინი ხან გრაფი ტაშკევიჩი პრესას აწვდიან ცნობებს. სადაც ერთი მეორეს ლანძღავენ და აცხადებენ მოწინააღმდეგე მხარის არ ცნობაზე.

მათი პოლიტიკა დიდ ზიანს აყენებს სამი სახელმწიფო, მაშასადამე, იქ შემუშავებული უფლებრივი ნორმები სავალდებულო უნდა ყოფილ იყო თითქმის მთელი ქვეყნებისთვის; იქ მონაწილეობას ჭღებულობდნენ არა მარტო ოსმალეთი და სხვა სამუსულმანო სახელმწიფოები; იქ იყო წარმოდგენილი არა სუვერენული სახელმწიფოც (ბულგარეთი); იქ დაბურობილი ერებმაც გამოგზავნეს თავის წარმომადგენელნი, რომ მოეთხოვათ უფლება და სამართალი. იქ იყვნენ კორეელები, ეგვიპტელები. იყვნენ ქართველებიც, მოითხოვდნენ თავის პოლიტიკურ უფლებათა აღდგენას... ამ დაჩაგრულ ერთა წარმომადგენელნი იქ კონფერენციაზე არ დაუშვეს, მაგრამ ფაქტი მაინც საინტერესოა: მოდიან და ეს ერები, უკაკუნებენ დახშულ კარებს „ვაგვიღეთ... მიგვიღეთო!“ ამ საერთო გამოძახილ საკ უნდა ჰქონოდა თავისი მნიშვნელობა მომავალ უფლებრივ გადახალისებაში.

ამ ნაირად ისტორიულ პროცესში ამ კარად გამორკვეულია ერთი გზა, გზა საერთაშორისო შეთანხმებისა ან, უკედ რომ ვსთქვათ, გზა საერთაშორისო უფლებისა. რა თქმა უნდა, როგორც დროა მიდის, ვითარდება ცხოვრებაც, იცვლება უფლებრივი შეგნებაც. საერთაშორისო უფლება არ არის ერთი და იგივე, კანონი, ერთჯერ და სამუდამოდ ჩამოსხმული და გაყინული, როგორც ყოველი კანონი, ისიც ექვემდებარება საერთო განვითარების კანონს, იცვლება ძველი, იბადება ახალი, არის მუდმივი ზრდა და განვითარება. ამიტომ ზოგი ნორმები, უკვე მიღებული საერთაშორისო უფლებაში, ეხლა შეიძლება სულ შეიცვალოს, შეიძლება შემოღებულ იქმნას ახალი ნორ. ეს ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ეს სულ არ ამტკიცებს იმას, როგორც ბევრსაც ჰგონია, რომ საერთაშორისო უფლება ვითომდა ზღაპარია და ოცნება და რეალურად იმას არა აქვს მნიშვნელობა. პიროქით, გასაკვირი იქნებოდა სწორედ ის, თუ რომ იგი იქნებოდა უცვლილი და შეურყეველი მართალია, საერთაშორისო უფლებამ ხშირად ვერ მიაღწია თავის მიზანს და ვერ გაატანა ცხოვრებაში თავის მოთ ხოვნილებანი, მას არ ჰქონდა სათანადო რეალური ძალა, არ ჰქონდა სანქციაც. მაგრამ მიუხედავად, ამისა იგი მაინც ძალაა ცოცხალი და შემომქმედი, იგი წინ მიიწევა ყოველთვის, ჰცდილობს მოაქციოს თავის გავლენის ქვეშ მთელი არსებული საერთაშორისო განწყობილებისა და მართლა დაამკვიდროს ქვეყანაზე სიმშვიდე და თავისუფლება, სხვა გზა არა აქვს კაცობრიობას—ან ძალადობა, ან უფლება. ძალადობამ მოქანცა ქვეყანა, სისხლით მორწყო დედამიწა, დაანგრია ეკონომიური ცხოვრება და ცრემლის ზღვაში შეაცურა მოქანცული კაცობრიობა. დარჩა მხოლოდ უფლება. მხოლოდ უფლებრივი პრინციპებზე აგებული ეროვნული ცხოვრება და იმავ პრინციპებზე დამყარებული საერთაშორისო განწყობილება იძლევა ერთად ერთს რეალურ იმედებს, მშვიდობიანობის დასამყარებლად.

ამ გზას დაადგა პარიჟის კონფერენციაც. 21 იანვარს (1919 წ.) აირჩიეს განსაკუთრებული კომისია „ერთა ლიგის“ ძირითადი დებულების შესამუშავებლად. კომისსია შესდგებოდა 15 წევრისაგან; ათი ეკუთვნოდა ხუთს უდიდეს სახელმწიფოებს და დანარჩენი ხუთი არჩეული იყო 19 სხვა პატარ-პატარა სახელმწიფოთა დელეგატების შორის. მათ სახელებს არ დაივიწყებს მომდლიერი კაცობრიობა. ესენი იყვნენ: პრეზიდენტი ვილსონი და ბ. ჰუზი (ჩრ. ამერიკა); ლორდი რობერტ სესილი და გენერალი სმუტსი (ინგლისი); ლეონ ბურჟუა და პროფ. ლარნოდი (საფრანგეთი); ორლანო და ბალოია (იტალია); ვიკონტი შინდა და ბ. ოტშიაი (იაპონია); ბ. ჰიმანსი (ბელგია); ე. ჰესსოა (ბრაზილია); ვ. კუ (ჩინეთი) ა. ვესნიჩი (სერბია); ბ. რეისი (პორტუგალია). შემდეგ ამ კომისსიას მოემატენ კიდევ პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკეთის დელეგატებიც.

სამი კვირის განმავლობაში (14 თებერვალს) უკვე მზად იყო პროექტი „ერთა ლიგის“ ძირითადი დებულებისა.

წითელი არმიის რეორგანიზაცია.

ჰილსინგფორსის გაზეთის ცნობით წითელ არმიელების რეორგანიზაციას უკვე დაიწყო. საბჭოთა რუსათა განკარგულებაში ყოფილია 93 სამხედრო ოლქათ. ყველა მამაკაცი ისათვის 15 წლიდან 50 წლამდის სამხედრო ვარჯიშობაზე ვალდებულია. განზრახულია მოკლე ხანში შექმნან 4.700.000 იანი ჯარი.

შეთქმულების აღმოჩენა ლონდონში.

ნიუიორკი. ოქტომბრის 17. მთავრობამ აღმოაჩინა ლონდონში შეთქმულების დიდი ორგანიზაცია, რომელსაც აზრად ჰქონდათ მთავრობის ყველა წევრების აფეთქება. დაჭუსაღებულ ცნობილი პირები.

(რუსეთის ცნობა).

სომხეთ-ოსმალეთის ომი.

„არაჩი“ იუწყება: ოსმალეთის მთავარი ძალები შეჯგუფებულია უმთავრესად ყარსის ფრონტზე, სახელდობრ ყაგიზმანის შარა-გზიდან დაწყებული სოფ. იასიგჩი-ჯარაკაია ხაზებეკის ხაზამდე. ეს სოფლები გარან ვარდანიდან

ერთა ლიგა

„ვეჩერნეი სანქტ-პეტერბურგი“ პეტლიურა ახლა ფაქტიურად პოლონეთის ხარჯზე ცხოვრობს. არავითარ რეალურ როლს ის არ თამაშობს და არც შეუძლია ითამაშოს, რადგან არც ერთ ძალერ პარტიას არ ეყრდნობა და არც იმე ცოტათ თუ ბეჭერად ძლიერი ძალა არის მის განკარგულებაში.

უკრაინიდან განდევნილი პეტლიურა ერთ ხანს თავისი მთავრობიდ ყაენეტ პოდოლსკში იმყოფებოდა, საიდანაც იძულებული შეიქმნა დასავლეთ გალიციაში წასულიყო. აქ მან გამართა ხანგრძლივი მოლაპარაკება პოლონეთის მთავრობასთან, რომელმაც დიდი ლაპარაკების შემდეგ იცნო ის.

ამის შემდეგ პეტლიურა თავისი მინისტრებით და სამი ათასი გაიდამაკანელი, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფებოდა ტარნოვში დასახლდა, სადაც ის თამაშობდა ვითომდა უკრაინის მართველის როლს. პეტლიურას მიერ პოლონეთთან დადებული ხელშეკრულებით მთელ უკრაინას პოლონეთის ფაქტიური მფლობლობაში აგდებს.

საქართველო

ყოველ დღე

ფასი: ერთ ნომერი 1 მანეთი

ხელის მოწერა: ერთ თვეზე 30 მანეთი

ადგილ-ადგილ ... 35 „

ოფისი: ... ქუჩა № 3

ტელეფონი № 1-2-3

ოფისის საათები: 9 — 5 ...

ადმინისტრატორი: ...

15 ვერსტის მანძილზე იმყოფება. ოსმალეთის ფრონტი გაჭიმულია 40 ვერსტზე. ამ ფრონტზე მოქმედებს ოსმალეთის 2 დივიზია 6.000 კაცამდი. მათ აქვთ ტყვიის მფრქვეველები და არტილერია. უკანასკნელ ფრონტზე ბრძოლები ხდებოდა ზიარეტის სიმაღლეებზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ოსმალეთისათვის, ისე სომხეთისათვის. ყაგიზმანის ფრონტზე მოქმედებს უმთავრესად შემთხვევითი ძალები, რომელიც ქურთებისა და თათრებისაგან შესდგება. ეს რაზმები შიშის ხარისხემენ მცხოვრებთ და ალექსანდროპოლ-ერევნის რკ. გზის ხაზს ემუქრებიან. აქ სომხეთის ჯარი მათ დიდ წინააღმდეგობას უწევს.

„არაჩის“ ცნობით ამ ქამად ფრონტზე სიწყნარეა: მტერი შემოტევაზე აღარ გადმოდის. მიღებულ ცნობით თურქები დახმარებას ელიან ტრაპეზუნდიდან. საერთო მდგომარეობა სერიოზულია, თურქებს სურთ აიღონ ყარსი და ამით გააძლიერონ თავისი პოლიტიკური მდგომარეობა.

ევროპიდან.

ს. დ. ს. ს. განყ. ცნობები

ამერიკა და სამხრეთ რუსეთი.

„ლა კოზ“ იუწყება: ადმირალმა მაკლინმა ვრანგელის მთავრობის ფინანსთა მინისტრს ნ. ბერნაცკის გაუცხადა, რომ შეერთებული შტატები ბ. ბ. არიან სამხრეთ რუსეთის მთავრობას დაეხმარონ ეკონომიურ ცხოვრების დადგენის საქმეშიო. ბერნაცკის წინადადება მიეცა წარმოადგინოს იმ საქონლის სია, რაც რუსეთს ჭირდება.

ანტანტა და სამხრეთ-რუსეთი.

ბურცევი წერილში „დემოკრატიისათვის“ სწერს: დიდმა სახელმწიფოებმა ხანგრძლივ ყოყმანის შემდეგ „ვარკვევთ გადაწყვეტილებას ვისაგან შეიწყალოთ ელი ლენინ“ თუ ვრანგელისაგან. საფრანგეთი და ინგლისი უკვე ვრანგელს უჭერს მხარს ხელოვნურ იმ პირობით, თუ ვრანგელი დემოკრატიულ დებულებს არ გადაუხვევს. რუს პატრიოტების მდგომარეობა ახლა გაცილებით ტკივილიანია.

ევროპის დემოკრატიას რუსეთის საკითხში გარკვეული თვალსაზრისი აქვს ხარი დაუჭიროს ურევლესობას. საბოლოოდ უარყოფილია მართალ გამკრობაშ ხშტის პრინციპი. ეს ისტორიაგან უარყოფილი პრინციპი ბოლშევიკებს განხორციელებული ქონდათ ცხოვრებაში. რუსეთი არასოდეს არ უფილა ამ მივიწყებული და უბედური, როგორც ახლაა, რუსეთს სათავეში უნდა დუდგეს დემოკრატია, რომელმაც არ ოდეს არ უნდა დაივიწყოს, რომ ხალხის ნება უნდა იყოს მთავრობის ნებაც. ევროპის დემოკრატიმ გარკვეული ლოზუნგი წამოაყენა: ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა რუსეთის ხალხისათვის და რუს ერის დემოკრატიისათვის ბრძოლას ნიშნავსო.

წითელ არმიელი ქალები

კოპენჰაგენი. ადგილობრივი პრესის ცნობით მოსკოვში საბჭოთა ორგანოებს წითელ არმიელი ქალები იცავენ.

პეტროგრადის ეკონომიური მდგომარეობა.

ჰელსინგფორსი. ფინურ გაზეთების ცნობით პეტროგრადის კომუნის თავჯდომარეთ ზინოვიევს მაგივრად აურჩევიათ ლიტველი კუკლინი. სხდომაზე კუკლინმ გააკეთა მოხსენება ქალაქის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ იგი კატასტროფულ მდგომარეობაში იმყოფება. საქონლ ს და ანთრაგის შემოტანა პეტროგრადში რულებით შეწყვეტილია. ულუფა ძალიან შემცირებული.

ბოლშევიკ ბ ს პროპაგანდა.

— კომუნისტი ფრილსი სკანდინავიის სახელმწიფოებში ბოლშევიკურ პროპაგანდას ხელმძღვანელად დაინიშნა.

კოპენჰაგენი. დანიის ბოლშევიკურ გაზეთ ს რედაქტორ მატსენი, რომელიც ბრმლად ედება საბჭოთა მთავრობ ს ხარჯით ბოლშევიკური იდეების გასაგებლად პროპაგანდის გაწევა. დაკითხვის დროს მატსენმა აღიარა, რომ ის მართლა ლებულობდა მოსკოდან ყოველ თვიურად ოქროს ფულით 200,000 მანეთს.

ლიონის ცნობები.

კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან: ბერემ ოსმალ-ნაციონალისტების ინაალმდეგ ახალი შეტევა დაიწყო. ანთავისუფლა მათგან დარონიდა მდ. ბიბუმის შესართავი. ანტაბში ნაციონალისტთა გარნიზონი თუ ფრანგები ზოგიერთ პირობას აუსრულებენ ათარის დამორჩილდეს, მასთან ფრანგები სრულ კაპიტულიაციას მოითხოვენ.

ზარალის ანაზღაურება.

ზარალის ანაზღაურების კომისია იუწყებოდა, რომ მის განკარგულებაში იმყოფებოდა 20 და 40 მილიარდების ოდენობა, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიას ედება. ეს ვალდებულებები ზარალის ანაზღაურების კომისიის ფინანსიურ განყოფილებას გადაეცა. იგი წარმოადგენს გერმანიის ხაზინის ვალდებულებებს, რომელსაც გერმანიის ვალის ადმინისტრაციის მიერ არის ხელმოწერილი—სწერს „ტანი“... (დაბეჭდილია).

საფრანგეთის პარლამენტს ნოემბრის 8 თვის მოიწვევენ.

საფრანგეთმა იცნო „დე ფაქტი“ ბოლივიის მთავრობა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობა ხუთშაბათს განთავისუფლებულ ოლქებში მიემგზავრება.

ერთა ლიგის საბჭოს ჯერ კიდევ არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილება ვილნოს საკითხის შესახებ.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეროვნულ კრებას წარუდგინა პროექტი კანონისა, რომელიც ტრიანონის ხელშეკრულობის რატიფიკაციას ეხება.

რუსეთის ცნობები

გერმანიის კომუნისტები და ბოლშევიკები.

მოსკოვი. ოქტომბრის 27. გერმანიის კომუნისტთა პარტია მემარცხენე დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიას უერთდება.

ქვანახშირის კრიზისი.

ინგლისში მემაღაროელთა გაფიცვის გამო ქვანახშირის დამუშავებამ 270 მილიონ ფუთიით დაიკლო. მსხვილი ფაბრიკები სათბობი მასალის უქონლობის გამო არ მუშაობენ. დასავლეთ ფრონტის სამხედრო ოლქის პოლიტკომი იმუშავებს წითელ არმიელთათვის სასოფლო სამეურნეო კურსების პროექტს.

რუსეთ-პოლონეთის ზავი.

მოსკოვი. ოქტომბრის 27. პოლონეთის ზავის სიმტკიცე, ჟურნალ „ეკონომიჩესკაია ჟიზნი“ მეთაურში სწერს: რიგაში დადებული პრელიმინარული ზავის რატიფიკაცია უკვე მოხდა. პოლონეთის სამშვიდობო დელეგაციაში შედიოდა ყველა პარტიის წარმომადგენლები ისევე, როგორც სეიმში, იმედი უნდა გვქონდეს მტკიცე ზავისა. რასაკვირველია, არა მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის დამოკიდებულება ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან განსაკუთრებულ პირობებშია. მთელი ქვეყნის სიძულვილი საბჭოთა რუსეთისადმი არ გვაძლევს გარანტიას, რომ რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფო მასთან ლოიალურ დამოკიდებულებაში დარჩეს. ყოველი ხელშეკრულება იმდენად არის ქაღალდის ნახევი, რამდენადაც (გამოტოვებულია) ხელშეკრულების შინაარსი ორივე მხრის დამაინტერესებელია. მისი სიმტკიცე საეჭვოა იმიტომ, რომ პოლონეთის ბურჟუაზია იარაღს აყალრუნებს საფრანგეთს ბურჟუაზიის ტაშზე. საფრანგეთი არ ისვენებს. მისი მიზანია მოსული კაპიტალით დაამხოს რუსეთის რესპუბლიკა. პოლონეთი, რომელიც პეტლიურას ეხმარება სამხედრო საქმეში, ახლა აცხადებს, რომ ზავის პირობები არ ეხება პეტლიურასა და ჩვენ მასთან არავითარი კავშირი არა გვაქვსო. გენერალი ვრანგელი დამარცხების ხანაში იმყოფება და მის დასახსნელად იქნება დასავლეთის ახალი ავანტიურა.

